



Moderna-ს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ

მადლობას გიხდ, რომ ვაქცინის გაკეთებით იცავთ საკუთარ თავს და სხვებს. ახლა, როცა ვაქცინა გაკეთებული გაქვთ, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს დოკუმენტი, რათა იცოდეთ, რას უნდა ელოდოთ მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში და სად მოიძიოთ დამატებითი ინფორმაცია.

წაიკითხეთ COVID-19-ის ვაქცინის საინფორმაციო ბროშურაც, რომელიც ჩვენ მოგეცით. ასევე გაძლევთ ჩანაწერს თქვენი დღევანდელი ვაქცინაციის შესახებ.

გთხოვთ, დაცულ ადგილას შეინახოთ აღრიცხვის ბარათი.

რა შეიძლება მოხდეს მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში?

ზოგიერთ ადამიანს, რომელსაც იგივე ვაქცინა გაუკეთდა, რომელიც დღეს თქვენ, შეიძლება:

- ჰქონდეს სისუსტე, შეშუპება, სიწითლე და/ან ქავილი მკლავის არეში, სადაც ვაქცინის ინექცია გაუკეთდა
- ჰქონდეს დაღლილობის შეგრძნება
- ჰქონდეს თავის ტკივილი
- გაუდიდდეს ილღის ლიმფური ჯირკვლები იმ მხარეს, სადაც გაუკეთდა ინექცია
- ჰქონდეს კუნთების ტკივილი
- ჰქონდეს სახსრების ტკივილი
- ჰქონდეს გულისრევა ან პირღებინება
- ჰქონდეს სიცხე (ტემპერატურა 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი).

როგორც ყველა სხვა ვაქცინის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ სააგენტოს (HPRA) აცნობოთ საექვო გვერდითი ეფექტების შესახებ. COVID-19-ის ვაქცინის საექვო გვერდითი მოვლენების შესახებ შესატყობინებლად, გთხოვთ ეწვიოთ ვებ-გვერდს www.hpra.ie/report

რა უნდა გავაკეთო, თუ სიცხე ან ტკივილი მექნება?

თუ სიცხე ან ტკივილი გექნებათ, შეგიძლიათ მიიღოთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. თუმცა, თუკი სიცხე 48 საათზე მეტხანს გექნებათ ან თუ მაინც შემფოთებული იქნებით, გთხოვთ, ექიმს მიმართოთ რჩევისთვის. თუ ორსულად ხართ, იბუპროფენი არ მიიღოთ.

რა უნდა გავაკეთო, სანამ ვაქცინის მეორე დოზას გავიკეთებ?

სანამ ვაქცინის მომდევნო და საბოლოო დოზას გაიკეთებთ, გთხოვთ, ვაქცინის გამკეთებელ გუნდს აცნობოთ თუ რამე შეიცვალა თქვენს სამედიცინო ისტორიაში.

მეორე დოზის მისაღებად მისვლისას თან იქონიეთ თქვენი ვაქცინაციის აღრიცხვის ბარათი.

ეს იქნება 28 დღეში (ოთხ კვირაში).

კარგი ამბავი

COVID-19-ის ვაქცინის გაკეთებამ უნდა დაგიცვათ COVID-19-ით გამოწვეული სერიოზული გართულებებისგან.

ზოგადად ვაქცინა ასწავლის თქვენს იმუნურ სისტემას, რომ დაგიცვათ დაავადებებისგან. თქვენი იმუნური სისტემისთვის ამის სწავლა ვაქცინაციის საშუალებით გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე COVID-19-ით დაინფიცირების გზით.

ჩვენ ჯერაც ვსწავლობთ

მეორე დოზის გაკეთების შემდეგ 14 დღეა საჭირო მის ასამოქმედებლად.

მცირე შანსი არსებობს, რომ მაინც დაგემართოთ COVID-19 იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაქცინა გაკეთებული გაქვთ. ჩვენ ჯერ არ ვიცით ვაქცინაცია აჩერებს თუ არა ვირუსის სხვებისთვის გადადევას, ამიტომ აუცილებელია, გაითვალისწინოთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რჩევები:

- დაიცვათ სოციალური დისტანციის წესები (დაიცავით ორმეტრიანი დისტანცია სხვებისგან სადაც ეს შესაძლებელია)
- ატარეთ პირბადე
- დაიბანეთ ხელები რეგულარულად.

შეკითხვა გაქვთ?

თუ რამეში დარწმუნებული არ ხართ ან შეკითხვები გაქვთ COVID-19-ის ვაქცინის შესახებ, გთხოვთ ჰკითხოთ ადამიანს, რომელიც ვაქცინას გიკეთებთ რე დღესვე.

COVID-19-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს www.hse.ie/covid19vaccine

გვერდითი ეფექტები

გთხოვთ, გვერდითი ეფექტების შესახებ შეატყობინოთ HPRRA-ს შემდეგ მისამართზე: www.hpra.ie/report